გაითვალისწინეთ, ალნიშნული ტესტი არის მხოლოდ ფინალური ტურის ნიმუში. ფინალურ ტურში დაგხვდებათ 12 საკითხი. გისურვებთ გამარჯვებას!

მე-2 კლასი

1. **(4 ქულა)** შემოხაზეთ ის პასუხი, რომელიც მეტია სხვებთან შედარებით:
ა. 9 - 4 ბ. 8 - 6 გ. 4 - 1 დ. 15 - 11

შეკითხვებს უპასუხეთ მოცემული ცხრილის მიხედვით. ცხრილში ნაჩვენებია ტასოს მაღაზიიდან კვირის რომელ დღეს რა ნივთები გაიყიდა.

დღე	გაყიდული ნივთები
ორშაბათი	
სამშაბათი	
ოთხშაბათი	
ხუთშაბათი	
პარასკევი	

2. **(7 ქულა)** რომელ დღეს მეტი ნივთი გაიყიდა ორშაბათს თუ სამშაბათს?
ა. ორშაბათს
ბ. სამშაბათს
გ. თანაბრად
დ. ვერ გავიგებთ

3. **(6 ქულა)** რომელ დღეს გაიყიდა ყველაზე მეტი ნივთი?
ა. სამშაბათს
ბ. ოთხშაბათს
გ. ხუთშაბათს
დ. პარასკევს

4. **(7 ქულა)** რამდენი კუთხე აქვს 1 ოთხკუთხედს და 1 სამკუთხედს ერთად?
ა. 3 ბ. 4 გ. 5 დ. 7

5. **(8 ქულა)** ნიკუშა 2002 წელს დაიბადა, ხოლო ანი 2003 წელს. ვინ უფრო დიდია ანი თუ ნიკუშა?
ა. ნიკუშა ბ. ანი გ. ზუსტად თანატოლები არიან დ. ვერ გავიგებთ

6. **(6 ქულა)** ჩემი სახლის შესასვლელთან 4 მეგობარი დგას: დათო, გიორგი, რატი და ირაკლი. მე ვხედავ, რომ:
- გიორგი უფრო დაბალია ვიდრე დათო.
- ირაკლი დათოზე მაღალია.
- ირაკლი არაა ყველაზე მაღალი.

მაშ, რომელი ბიჭია ყველაზე მაღალი?
ა. გიორგი ბ. ირაკლი გ. დათო დ. რატი